



MES 9 21 0000352605



13/04/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 30.03.2021

სხდომის დაწყების დრო: 15:03 სთ

სხდომის დასრულების დრო: 17:46სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
6. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ვეროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;

13. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

14. **თონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

15. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

16. **ნინო ინასარიძე** - „CNFA საქართველოს“ გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასხედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირმა შიოშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	მაგდა დავითაშვილი		ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის თანახელმძღვანელი	I
3	შალვა ჭკადუა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
4	თამარ ნადირაძე		პროგრამის თანახელმძღვანელი	I
5	დარეჯან მარგალიტაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
6	ნინო მოდებაძე		პროგრამების კოორდინატორი	I
7	გიორგი სოსიაშვილი	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	II
8	ლევან მიდოდაშვილი		ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	II
9	ციური დურული		სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	II
10	თეა მჭედლური		ბიოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი	II
11	ლაურა ელიაური		ფაკ-ის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	II

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	საკითხი

		ინფორმაცია ელექტრონულის აშუალებით მონაწილეობის შე სახებ	
1	ნათია ღაჭავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	გიორგი ჯაფარიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ლევან ციციშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:03 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.12.2011, გადაწყვეტილება №419
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ბიოლოგია, 0511
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თელავი, 2200, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1, სასწავლო კორპუსი №1.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედგინა პოზიციები, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია ლაჭავაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 30 ნოემბერს დისტანციურ რეჟიმში, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვიზიტი წარიმართა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე, ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა და უსდ-ს მხრიდან უზრუნველყოფილი იყო პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, რათა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონოდა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

„ბიოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

- პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან 1.1 კომპონენტი - შესაბამისობაშია და 1.2 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.1 და 2.4 - კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.3, 2.5 და 2.6 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2. კომპონენტი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან 4.1 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 4.2 და 4.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 4.4 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან 5.1. და 5.2. კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 5.3 კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები „პასუხისმგებლობა ავტონომიურობის“ შედეგთან მიმართებაში და შემდეგ აისახოს ის პროგრამის შედეგებშიც;

2. რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების „განვითარების ბიოლოგია“ და „მოლეკულური ბიოლოგია“ სტატუსი განისაზღვროს როგორც სავალდებულო;

3. რეკომენდებულია სასწავლო კურსებიდან „ციტოლოგია“ და „უჯრედის ბიოლოგია“ პროგრამაში მხოლოდ ერთის დატოვება;

4. რეკომენდებულია სასწავლო კურსების „ზოგადი ტოქსიკოლოგია“, „ჰემატოლოგია“ და „ბიოსოციოლოგია“ სწავლების საფეხურთან შესაბამისობის გადახედვა;

15:07 საათზე საბჭოს შემოუერთდა თეონა მატარამე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრებს წაკითხული აქვთ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული დასკვნა და შესაბამისად, იცნობენ რეკომენდაციებსაც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება ზოგიერთ რეკომენდაციას არ ეთანხმება, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, თუკი დაწესებულება გაითვალისწინებს რეკომენდაციებს, პროგრამა გახდება მეტად სრულყოფილი; შედეგზე გადის, მაგრამ მეტი შესაძლებლობები მიეცემა მას, რომ უფრო განვითარდეს/მოთხოვნადი გახდეს, ასევე, რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, გარდა რეკომენდაციებისა, გაწერილი იყო რჩევებიც, რომლებსაც დაწესებულება დაეთანხმება თუ არა მისი გადასაწყვეტია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, შალვა ჭკადუა მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, განმავითარებელი შეფასებისთვის მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებენ გარკვეულ რეკომენდაციებს, რადგან დაინახეს მათი შესრულების აუცილებლობა, ხოლო ზოგიერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აქვთ საკუთარი ხედვა.

ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის თანახელმძღვანელი, მაგდა დავითაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს პროგრამის განხილვისათვის და ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის, განმავითარებელი რჩევების/რეკომენდაციებისათვის, რადგან აღნიშნული რეკომენდაციები მათ პროგრამას წაადგება, თუმცა ზოგიერთ რეკომენდაციას ნაწილობრივ ეთანხმება ან აქვს არგუმენტირებული მოსაზრება.

დაწესებულება არ ეთანხმება რეკომენდაცია 1-ს (რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები „პასუხისმგებლობა ავტონომიურობის“ შედეგთან მიმართებაში და შემდეგ აისახოს ის პროგრამის შედეგებში), რადგან პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა კომპლექსურ არაპროგნოზირებად სასწავლო-სამუშაო გარემოში ცოდნისა და უნარების პასუხისმგებლობითა და დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობაა, თუმცა, ვინაიდან ეს არის ბაკალავრიატის დონის პროგრამა ახალი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით მე-ნ დონე, სადაც ხაზგასმითაა წარმოდგენილი, რომ სტუდენტები თავის საქმიანობას ძირითადად წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესასრულებლად ახორციელებენ და აქედან გამომდინარე, იმ ბაზისურ კვლევებში, რომლებსაც სტუდენტები წარმართავენ არ მოეთხოვებათ ავტონომიურობა, თანაც ზემოაღნიშნული მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელების გადაწყვეტილი არ არის, სწავლის შედეგებზე მუშაობისას, აკრედიტაციის სტანდარტიდან გამომდინარე, ისინი ითვალისწინებდნენ, რომ სწავლის შედეგები უნდა იყოს გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, შესაბამისად სწავლის შედეგებზე მუშაობისას, ასევე გათვალისწინებული იყო დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების მოსაზრებები და ამ მიზნით ატარებდნენ გამოკითხვებს, როგორც „ონლაინ“ რეჟიმში, ასევე ეწყობოდა დისკუსია-დებატები, მრგვალი მაგიდა, ფოკუს ჯგუფები, „ონლაინ“ შეხვედრები ჩატარდა, რადგან დაწესებულებას ძალიან რთულ პერიოდში მოუწია პროგრამაზე მუშაობა, პანდემიის გათვალისწინებით, ძირითადი გამოკითხვები განხორციელდა „ონლაინ“ რეჟიმში და დასკვნაშიც გაიჟღერა, რომ რამდენიმე დამსაქმებელმა გამოიყენა ტერმინი „პასუხისმგებლობა“, დაწესებულების წარმომადგენლებს აღნიშნული ტერმინი უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ და როდესაც დამსაქმებლებს შეხვდნენ, იქ მოხდა მისი დაზუსტება, ვინაიდან დამსაქმებლები არ იყვნენ ვალდებულნი სცოდნოდათ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო, მისი სტრუქტურა, ტერმინოლოგია და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენლებმა დამსაქმებლებს განუმარტეს, თუ რას ითვალისწინებს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო, რომ გაწერილია 3 შედეგი, რა მოიაზრება თითოეულ მათგანში და უკვე დისკუსიის დროს დამსაქმებლებმა დაადასტურეს, რომ არ ითხოვდნენ საბაკალავრო საფეხურზე პროგრამის გასვლას მე-3 შედეგზე და ერთობლივი მსჯელობის საფუძველზე გადაწყდა პროგრამის გასვლა მხოლოდ 2 შედეგზე, თუმცა დამსაქმებლების მოთხოვნით, მცირე დოზით, რაც აუცილებელი იყო, მაგ., სილაბუსებში არის შემდეგი ჩანაწერები: უნდა მოხდეს ეთიკის პრინციპების დაცვა, ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესებისა და

ეთიკის პრინციპების დაცვის მნიშვნელობას უნდა იცნობდეს სტუდენტი, რაც ცოდნა-გაცნობიერების შედეგზე გადის და უნარში მოხდა ასახვა ისეთი ჩანაწერის, როგორცაა, როდესაც აყალიბებენ სათანადო დასკვნებს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სამეცნიერო და ეთიკური საკითხები, ანუ იმ დოზით, რაც ბაკალავრებს სჭირდებათ და რაც დამსაქმებლების მხრიდან იყო მოთხოვნილი, დაწესებულების წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნულ ორ შედეგში ასახეს.

რეკომენდაცია 3-თან დაკავშირებით (რეკომენდებულია სასწავლო კურსებიდან „ციტოლოგია“ და „უჯრედის ბიოლოგია“ პროგრამაში მხოლოდ ერთის დატოვება), მან განაცხადა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას ბოლომდე არ ეთანხმებიან, თუმცა ეთანხმებიან ძალიან კომპეტენტურ ექსპერტებს, რადგან „ციტოლოგიიდან“ „ციტოს“ ბერძნული სიტყვაა, „ლოგოს“ კი მოძღვრებას აღნიშნავს, ფაქტობრივად, ესეც უჯრედის შემსწავლელი მეცნიერებაა, „უჯრედის ბიოლოგიაც“ უჯრედს სწავლობს, მაგრამ „ციტოლოგია“ გულისხმობს, რომ უნდა მოხდეს მხოლოდ უჯრედის და მისი კომპონენტების სტრუქტურის შესწავლა, „უჯრედის ბიოლოგია“ კი სწავლობს უჯრედების ბიოლოგიას ძალიან ფართო ასპექტით, იგი შეისწავლის: სტრუქტურას, ფუნქციას, გამრავლებას, რეპროდუქციებს, მექანიზმებს, რეგულაციასა და ა.შ. მან განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გააზიაროს მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსის შინაარსის შედარება, სადაც ჩანს, რომ აღნიშნული საკითხები არ არის ანალოგიური; „უჯრედის ბიოლოგიაში“ შეისწავლება უჯრედის ევოლუცია, ძვრადობის საკითხები, ბიოენერგეტიკის საკითხები, მოლეკულურ დონეზე მიმდინარე პროცესები, უჯრედშორისი ურთიერთქმედებები, უჯრედშორისი სიგნალები, ასევე სწავლობს პროკარიოტებსა და ეუკარიოტებს; „ციტოლოგია“ მხოლოდ მცენარეულ და ცხოველურ უჯრედებს სწავლობს, სწორედ ამით არის მნიშვნელოვანი, თუკი ორივე სასწავლო კურსი იქნება, საქმე არ ფუჭდება, რადგან „ციტოლოგია“ არის სავალდებულო სასწავლო კურსი პირველივე სემესტრში, ყველაფრის საფუძველია, თუ უჯრედი არ ისწავლა შემდეგ ორგანიზმებს ვერ ისწავლის, „უჯრედის ბიოლოგია“ კი არის არჩევით სასწავლო კურსებში და აირჩევს ის სტუდენტი, რომელსაც შემდგომში სურვილი ექნება მაგისტრატურაში სწავლა გააგრძელოს „ციტოლოგიის“, „განვითარების ბიოლოგიის“ მიმართულებით, მეტად გაიღრმავებს ცოდნას უჯრედის ბიოლოგიის შესახებ, ეს არის დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრება, თუმცა სასწავლო კურსის ამოღება ძალიან მარტივია.

რეკომენდაცია 4-თან (რეკომენდებულია სასწავლო კურსების „ზოგადი ტოქსიკოლოგია“, „ჰემატოლოგია“ და „ბიოსოციოლოგია“ სწავლების საფეხურთან შესაბამისობის გადახედვა) დაკავშირებით პროგრამის თანახემდგენელმა განაცხადა, რომ როდესაც, ნებისმიერი სასწავლო კურსი შეჰქონდათ პროგრამაში, არა მხოლოდ ახლა, არამედ თავიდანაც, პროგრამას აქვს მრავალწლიანი, გამოცდილება, რადგან დიდიხანია ხორციელდება და ამ პერიოდში, როდესაც სასწავლო კურსს ამატებენ და ხდება შედეგების გაწერა ითვალისწინებენ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს, ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს და სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს, მეთოლოგია შეესაბამება იმ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს სასწავლო კურსის მიზნების მიღწევას. სამივე სასწავლო კურსი წლებია ხორციელდება და პერიოდულად ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, საიდანაც გამომდინარე გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსების ათვისება ხორციელდება წარმატებით, ისინი გადიან განსაზღვრულ შედეგებზე და ხდება ანალოგების გათვალისწინება, საზღვარგარეთის პრაქტიკის, მათი სილაბუსების და „ჰემატოლოგია“ დაინერგა ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის „ტემპუსის“ ფარგლებში, რომელიც 4 წელი მიმდინარეობდა და აღნიშნული სილაბუსი მომზადდა ძალიან გამოცდილ, კომპეტენტურ ექსპერტებთან მრავალჯერადი კონსულტაციების საფუძველზე, ვესტიმენტის უნივერსიტეტის, ფერარას უნივერსიტეტის პროფესორებისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, მარინა აბაშიძის კონსულტაციების საშუალებით და აქაც ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისად მოხდა მისი გაწერა.

რეკომენდაცია 5-თან (რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები „ენტომოლოგია“, „სტატისტიკა“, „იმუნოლოგია“, „ბიოტექნოლოგია“) დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმება მას, მათ დაგეგმილიც ჰქონდათ და პანდემიის გამო დროში ვერ მოასწრეს, „იმუნოლოგია“, „ბიოტექნოლოგია“ სწავლების შემდეგ საფეხურზე, მაგისტრატურაზე აქვთ გაწერილი და ფიქრობდნენ მათი აუცილებლობიდან გამომდინარე დაემატებინათ. რაც შეეხება „სტატისტიკას“, პროგრამაში გაწერილია სასწავლო კურსი „მათემატიკის საფუძვლები“ და ფიქრობენ შესაძლებელია მასში მოხდეს სტატისტიკის საკითხების ასახვა, აღნიშნული რჩევა გასათვალისწინებელია და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

15:19 საათზე საბჭოს შემოუერთდა ეკატერინე ნაცვლიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა შეეცვლებოდა თუ არა სახელი.

პროგრამის თანახემდღვანელმა განმარტა, რომ შეეცვლება დასახელება და იქნება „მათემატიკა ბიოსტატისტიკით“ ან „მათემატიკა სტატისტიკით“

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, ხომ არ უნდა ეთქვათ „კალკულუსი“.

პროგრამის თანახემდღვანელმა განაცხადა, რომ შესალებელია „კალკულუსიც“. მან განმარტა, რომ საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი უმდგება აღნიშნულ სასწავლო კურსს და მას უკეთ შეუძლია პასუხის გაცემა. „ენტომოლოგიასთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საგანია მწერების შემსწავლელი მეცნიერება, თუმცა მწერებთან დაკავშირებული ბაზისური საკითხები „უხერხემლოთა ზოოლოგიაში“ ისწავლება იმ დოზითა და მნიშვნელობით, რაც ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს მოეთხოვება, ძალიან კარგი იქნებოდა სასწავლო კურსის დამატება, მაგრამ ამ კუთხით განხილვისას, ასევე მნიშვნელოვანია დამატებულიყო „არაქნოლოგია“, რომელიც ობობებისნაირებს შეისწავლის, „აკაროლოგია“ - ტკიპებს, „მალაკოლოგია“ - მოლუსკებს, „ჰელმინთოლოგია“ - პარაზიტულ ჭიებს, „იქთიოლოგია“ - თევზებს და ა.შ. მაშინ შეუძლებელია ყველა ზემოაღნიშნული საგნის შეტანა, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით „ენტომოლოგია“ სჯობს იყოს ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში, როდესაც საბაკალავრო პროგრამა დამთავრებული სტუდენტი გააგრძელებს მაგისტრატურაში სწავლას, სწორედ ზოოლოგიის მიმართულებით იქ გაიღრმავებს ცოდნას მწერების შემსწავლელი მეცნიერების კუთხით.

დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმება რეკომენდაცია 6-ის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც რეკომენდებულია სასწავლო კურსს „პარაზიტოლოგია“ წინაპირობად განესაზღვროს „უხერხემლოთა ზოოლოგია“, ხოლო მეორე ნაწილს - სასწავლო კურსს „ბიოგეოგრაფია ბიომრავალფეროვნების საფუძვლებით“ კი „მცენარეთა სისტემატიკა“ და „ხერხემლიანთა ზოოლოგია“, ამ ნაწილში პატარა შესწორების შეტანა სურთ, რადგან „ხერხემლიანთა ზოოლოგიის“ პრერეკვიზიტი არის „უხერხემლოთა ზოოლოგია“ და მხოლოდ „მცენარეთა სისტემატიკა“ და „ხერხემლიანთა ზოოლოგია“ რომ განისაზღვროს პრერეკვიზიტად, მაინც მოიაზრებს „უხერხემლოთა ზოოლოგიის“ გავლას.

რეკომენდაცია 7-თან (რეკომენდებულია კრედიტების რაოდენობის კორექტირება სასწავლო კურსების შინაარსისა და სპეციფიურობის გათვალისწინებით) დაკავშირებით პროგრამის თანახემდღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და ამ დროს გათვალისწინებულია თითოეული სასწავლო კურსისთვის კრედიტების რაოდენობა, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი, რომ აუცილებლად სასწავლო კურსის შინაარსსა და შედეგებს შეესაბამებოდეს და კრედიტების განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისთვის და აღნიშნული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პერმანენტულად ატარებს გამოკითხვებს, ანალიზს და ხდება ზემოაღნიშნულის დადგენა.

რეკომენდაცია 9-თან (რეკომენდებულია პროგრამის რესურსების გათვალისწინებით რამდენიმე სასწავლო კურსში მოხდეს ლაბორატორიული მუშაობების გამოყოფა და მათი განხორციელებისთვის საჭირო საათების რაოდენობის განსაზღვრა) დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ დაწესებულებას წარდგენილი პროგრამის სილაბუსებში ცამეტივე კვირაში აქვთ პრაქტიკული სამუშაოები გაწერილი, შესაძლებელია ტერმინი „ლაბორატორიული“ არ აქვთ გამოყენებული, თუმცა პრაქტიკულ მეცადინეობაში მოაზრებული აქვთ ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება და აღარც საათების ცალკე გამოყოფა/განსაზღვრა სჭირდებათ, რაც მთავარია ეს კომპონენტი, ისევე, როგორც სხვა ყველა კომპონენტი არის გაზომვადი და შეფასებადი, შესაბამისად გაწერილი აქვთ მათი შეფასება, რუბრიკები და სხვა.

რეკომენდაცია 11-თან (რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დროში გაწერილი პერსონალის განვითარებისა და შევსების სტრატეგია) დაკავშირებით, პროგრამის თანახემდღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის განვითარებისა და შევსების სტრატეგია, რაც ასახულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2018-2025 წწ), სადაც სტრატეგიული მიზანი 4 უნივერსიტეტის მართვის სისტემის და ადამიანური რესურსების გაუმჯობესებაა. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშშიც დეტალურად განიხილავს პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. რაც შეეხება პერსონალის „შევსების სტრატეგიას“, უნივერსიტეტში არსებობს შემდეგი დებულებები/შიდა ნორმატიული დოკუმენტები: აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი; აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების წესი; საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი; პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობისა და სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია. ამასთანავე გამჭვირვალედ ტარდება

აკადემიური თანამდებობების დაკავების კონკურსები, ექსპერტებმა იგულისხმეს, რომ არის შემთხვევები, როდესაც ერთი პერსონალი რამდენიმე სასწავლო კურსს კითხულობს, მაგრამ აუცილებლად კითხულობს იმ დარგში, სადაც დაცული აქვს დისერტაციების უმრავლესობა ან მის მონათესავე დარგში, ამასთანავე აქვთ დიდი პარაქტიკა, მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში და ა.შ.

რეკომენდაცია 12-თან (რეკომენდებულია უნივერსიტეტმა სათანადოდ უზრუნველყოს პროფესორ-მასწავლებლების ინფორმირება დარგში არსებული რეიტინგული ჟურნალებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების შესახებ) დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან პროფესორ-მასწავლებლები საკმაოდ ინფორმირებულნი არიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან, რადგან აღნიშნული საკითხი თავის თავზე აქვს აღებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს და კორპორატიულ ელ.ფოსტებზე აგზავნის ყველანაირ ინფორმაციას რეიტინგული ჟურნალებისა და სამეცნიერო ბაზების შესახებ, გარდა ამისა, ტარდება ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და მათ ძალიან აქტიური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ჰყავთ, რომელსაც ექსპერტებიც შეხვდნენ და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა მათზე, ასევე ტვირთავს ვიდეოებს, აკეთებს ჩანაწერებს, დაწესებულებას პარლამენტის ბიბლიოთეკა ეხმარება ძალიან, უტარებენ შეხვედრებს და ა.შ., შესაბამისად აღნიშნული ჩანაწერებიც მიდის პროფესორ-მასწავლებლებამდე. რაც შეეხება Impact ფაქტორიან და Scopus-შიც გამოქვეყნებული აქვთ და ფიქრობენ კიდევ უფრო მეტად გააძლიერონ მუშაობა ამ კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დააზუსტა ინფორმაცია Impact ფაქტორიან ჟურნალებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის შესახებ. მან იკითხა თუ რამ გამოიწვია ამ ტიპის რეკომენდაციის გაცემის საჭიროება.

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. რეკომენდაცია 11, 12 და 14-ის შესახებ მას სურდა ექსპერტთა ჯგუფისგან მოესმინა რა იყო საფუძველი აღნიშნული რეკომენდაციების გაცემისა, რადგან, როგორც ცნობილია ნებისმიერი რეკომენდაცია, რომელიც ეხება მთლიანად უნივერსიტეტს არის ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობით განსაზღვრული, ხოლო როდესაც თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას ეხება ეს არის აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნიდან გამომდინარე, რადგან რეკომენდაცია 11 და 12-ში ფიგურირებს უნივერსიტეტი, რომ მან უნდა შეიმუშავოს კონკრეტული სტრატეგია პერსონალის განვითარებისა და შევსების სტრატეგია და რეკომენდაცია, რომელზეც საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა ისაუბრა ეხება მთლიანად უნივერსიტეტს და არა კონკრეტულ პროგრამას და ეს ხომ არ არის რჩევა, რომელიც შეეხება აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამასაც. რეკომენდაცია 14-ში კი უშუალოდ ხარისხის მიდგომებზეა საუბარი, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა იგულისხმება დეტალებზე ორიენტირებულ მიდგომაში, როდესაც საუბარია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შიდა ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, მკა კაჭარავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. რეკომენდაცია 4-თან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა მოსაზრებით კონკრეტული 4 საგანი უნდა მოვიდეს შესაბამისობაში საფეხურთან, დაინტერესდა თუ რას გულისხმობდნენ აღნიშნულ რეკომენდაციაში უფრო მაღალი დონეა და სტუდენტებს გაუჭირდებათ მისი ათვისება თუ უფრო დაბალი დონეა.

ლაბორატორიულ საათებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია და ბიოლოგიის პროგრამასთან მიმართებით ცალსახად უნდა იყოს ლაბორატორიული საათები გაწერილი და დაინტერესდა, თუ რამდენად არის პრაქტიკული მეცადინეობა იგივე, რაც ლაბორატორიული მეცადინეობა.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. მან დააზუსტა თუ რას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი ავტონომიურობის ქვეშ, რადგან დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიღებული ცოდნის არაპროგნოზირებად გარემოში გამოყენებაზე იყო საუბარი.

საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. რეკომენდაცია 7-თან (რეკომენდებულია კრედიტების რაოდენობის კორექტირება სასწავლო კურსების შინაარსისა და სპეციფიურობის გათვალისწინებით) დაკავშირებით მან ექსპერტთა ჯგუფის წევრებს სთხოვა დაეკონკრეტებინათ საგანი და თუ რატომ ფიქრობდნენ, რომ კრედიტების რაოდენობა არა ადეკვატური.

საბჭოს თავმჯდომარემ რეკომენდაცია 8-თან (რეკომენდებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის განახლება) დაკავშირებით სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს დაეკონკრეტებინათ და განემარტათ თუ რატომ განისაზღვრა რეკომენდაციად და არა რჩევად, ანუ რა სიმძიმე ჰქონდა, რომ განხილულიყო რეკომენდაციად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ლაჭავაძე რეკომენდაცია 11, 12 და 14-თან დაკავშირებით განაცხადა, რომ ისინი დაკავშირებულია პერსონალის განვითარებისა და შევსების სტრატეგიასთან, ასევე დაკავშირებულია რესურსებთან და შიდა ხარისხის შეფასება, რომელშიც ექსპერტთა ჯგუფმა იგულისხმა, რომ ხარისხს ერთ-ერთ ფუნქციად უწერია აკადემიური პერსონალის შესაბამისობის გადამოწმება, ანუ რამდენად კითხულობენ სასწავლო კურსს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები, როგორ არის რესურსი წარდგენილი და ა.შ. ამ შემთხვევაში საჭიროა ხოლმე ხარისხის ჩართულობა, გადამოწმება, თუ არ შეესაბამება შესაბამისობაში მოყვანა და შემდეგ წარმოდგენა აკრედიტაციის პროცესის გასავლელად. განსახილველი პროგრამის შემთხვევაში ძირითადად პერსონალთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები ბმაშია საკითხთან, რომ ერთიდაიგივე პიროვნება კითხულობს ბევრ სასწავლო კურსს და ისმის კითხვა თუ რამდენად მაღალი იქნება აღნიშნული სასწავლო კურსების წაკითხვის ხარისხი, ეს შესაძლებელია ეხება მხოლოდ სალექციო კურსს და პრაქტიკული მიჰყავს სხვა პერსონალს, რომელიც არ ფლობს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ „თვალში საცემი“ იყო ფაქტი, რომ სასწავლო კურსების განმახორციელებელი სრულიად სხვა კვალიფიკაციის მქონე ადამიანი კითხულობს სასწავლო კურსებს: „ზოოლოგიას“, „უხერხემლოთა ზოოლოგიას“, „ხერხემლიანთა ზოოლოგიას“, „ციტოლოგიას“, „ჰისტოლოგიის“ ნაწილს და აქედან გამომდინარე გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია. იმისთვის, რომ სწავლის შედეგი იყოს უფრო კარგი, მაღალი იყოს ხარისხი სასურველია ამ მიმართულების კვალიფიკაციის მქონე ადამიანს ჰქონდეს მისი განხორციელების შესაძლებლობა.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ორი მნიშვნელოვანი რაღაც დაასახელა: (1) ერთიდაიგივე ადამიანი კითხულობს ძალიან ბევრ სასწავლო კურსს და დროში/სივრცეში როგორ მიმდინარეობს პროცესი და (2) შეუსაბამო კვალიფიკაციის მქონე ადამიანები კითხულობენ სასწავლო კურსებს. საბჭოს წევრი დაინტერესდა სწორად გაიგო თუ არა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ გაქვდებული ინფორმაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველა ბიოლოგიის დოქტორია, თუმცა ბიოლოგიას ძალიან ბევრი მიმართულება აქვს, მაგ., თვითონ არის ჰისტოლოგი, მაგრამ ვერ წაიკითხავს „ხერხემლიანთა/უხერხემლოთა ზოოლოგიას“, აქედან გამომდინარე გაკეთდა აღნიშნული რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა შეაჯამა, რომ არსებობს რაღაც საგნები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მომიჯნავეა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასძინა, რომ ეს არ არის ის რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულია ვერ მოაგვარებს.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, საგნები რომლებსაც ერთიდაიგივე ადამიანი კითხულობს, როგორია არჩევითობა/სავალდებულოობის კუთხით, ხომ არ არის ნაფიქრი, რომ არჩევითი საგნები აქვს კონკრეტულ ადამიანს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უფრო მეტი სავალდებულოა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ამ მიმართულებით არ უმუშავია.

„პასუხისმგებლობა-ავტონომიურობასთან“ დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, ბიოლოგია ისეთი დარგია, გარკვეულად აღნიშნულ უნარზე უნდა გადიოდეს, აქვთ სასწავლო კურსები „აკადემიური წერა“, ასწავლიან პლაგიატს, კეთილსინდისიერებას, თვითონ პროგრამის თანახემდღვანელმაა თქვა, რომ ასწავლიან უსაფრთხოების წესებს, აქვთ ამის ცოდნა, მაგრამ თუკი ამ საკითხებს ასწავლიან სტუდენტებს ხომ უფითარდებათ პასუხისმგებლობა, რომ მხოლოდ ცოდნის დონეზე არ დარჩეს უსაფრთხოების სწავლება, პასუხისმგებლობები უნდა აიღოს რაღაც ქმედებებზე, თუნდაც ლაბორატორიულ მუშაობებში, რომელიც გათვალისწინებულია პრაქტიკულ ნაწილში, მაგრამ არ ჩანს, არ არის გამოყოფილი თუ რამდენი და როგორ, სტუდენტმა უნდა გამოიყენოს, აიღოს პასუხისმგებლობა ლაბორატორიაში მუშაობის დროს, იგივე საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას, კი იღებს კონსულტაციას/დავალბას ხელმძღვანელისგან, მაგრამ რაღაც ნაწილს დამოუკიდებლად ასრულებს და რამდენჯერმე გააკეთეს აქცენტი, რომ დამსაქმებელი საუკეთესო შემფასებელია, რომელიც შესაბამისი პროგრამის კურსდამთავრებულთან მუშაობს და არკვევს თუ რა უნარები მიიტანა უნივერსიტეტიდან და კარგია, როდესაც კურსდამთავრებული ფლობს პასუხისმგებლობას თავის ქმედებებზე, ზოგიერთ მათგანზე არის დამოუკიდებელი, აქედან გამომდინარე გაიწერა რეკომენდაცია, რომ რაღაც კუთხით აღნიშნული შედეგი პროგრამაში უნდა იყოს.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია, თუმცა სტუდენტის/კურსდამთავრებულის დამოუკიდებლობა ცოტა ზოგადია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კრედიტების რაოდენობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მას გაუჭირდება სასწავლო კურსების ჩამოთვლა, თუმცა იყო რამდენიმე სასწავლო კურსი, სადაც შესაძლებელია მეტი საკონტაქტო საათის არსებობა და განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც ლაბორატორიული სამუშაოების გამოყოფა შესთავაზეს დაწესებულებას, რადგან კარგად ჩანდეს სილაბუსში თუ რას გადის სტუდენტი კონკრეტული სასწავლო კურსით. რას გააკეთებს ლაბორატორიაში ექსპერიმენტებს თუ სხვ.

საფეხურებთან შესაბამისობის შესახებ მან განაცხადა, რომ ცოტა რთულია საბაკალავრო საფეხურისთვის, მართალია ჰქვია „ტოქსიკოლოგიის საფუძვლები“, მაგრამ იგივე „ბიოსოციოლოგია“, „ტოქსიკოლოგიის საფუძვლები“ და „ჰემატოლოგია“ იქნებოდა უფრო მაღალ, სამაგისტრო საფეხურზე გათვალისწინებული და საბაკალავრო საფეხურზე შემოიტანდნენ ისეთ სასწავლო კურსებს, რაზეც რეკომენდაციაა გაცემული.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ დააზუსტა, რომ მიუხედავად იმისა რომ ჰქვია „ტოქსიკოლოგიის საფუძვლები“ იგი რთულია და საფუძვლებზე მეტად არის მაგისტრატურის დონე,

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ სასწავლო კურსი უნდა შეიცვალოს; ტოქსიკოლოგიას თუ ალერგიასაც მიამატებდნენ კარგი იქნებოდა და გაითვალისწინებდნენ მაღალ საფეხურზე.

გამოქვეყნებებთან დაკავშირებით სასაუბროდ ექსპერტთა ჯგუფის წევრს გიორგი ჯაფოშვილს გადასცა სიტყვა.

ექსპერტმა, გიორგი ჯაფოშვილმა „უჯრედულ ბიოლოგიასა“ და „ციტოლოგიასთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ, როგორც დაწესებულებამ განმარტა აღნიშნული ორი საგანი განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა აღნიშნულ საკითხში ვერ დაეთანხმება, რადგან კურსის მიზნებში ფაქტობრივად 60%-მდე დამთხვევაა, გარდა ამისა სილაბუსებშიც საგნები მინ. 5 თემა აბსოლუტურად იმეორებს ერთიმეორეს. „ბიოსოციოლოგია“, „ტოქსიკოლოგიის საფუძვლები“ და „ჰემატოლოგიასთან“ დაკავშირებულ რეკომენდაციაზე მან განმარტა, რომ ექსპერტებს აღნიშნული საგნები უფრო მაღალი საფეხურის საგნებად ეჩვენებოდათ, სწორედ ამიტომ იყო შეთავაზებული „ენტომოლოგია“ და ვერც ამ ნაწილში დაეთანხმა დაწესებულებას, აღნიშნული სასწავლო კურსის „კნიზობით“ მოხსენიებაში, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ დედამიწის მრავალფეროვნების 85% სწორედ მწერებია და პროდუქტი, რომელსაც ადამიანი მოიხმარს 75% სწორედ მწერების აქტივობის შედეგად მიიღება და ბოლო წლებში, ბიომრავალფეროვნების შემცირების, სახეობების გადამშენების ფონზე სწორედ „ენტომოლოგია“ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანი, თანაც ნახსენები „არაქნოლოგია“, „აკაროლოგია“ ძირითად შემთხვევებში „ენტომოლოგიის“ ქუდის ქვეშ მოიხსენება.

ჟურნალების ხარისხთან/კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, მან განაცხადა, რომ ეს საკითხი რეკომენდაციაში გაიწერა, რადგან ყველასთვის ცნობილია რას აკეთებენ ექსპერტები, მათთვის მთავარია ხარისხი, რომელიც გადის პერსონალზე, ის უნდა იყოს ხარისხიანი, რომ შემდეგ შეძლონ ისაუბრონ თვითონ პროგრამაზე, აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შენიშვნა, რომ წარდგენილ ნაშრომებში მთლიანად იყო ნაშრომები არა Impact ფაქტორიან ჟურნალებში, Impact ფაქტორი შესაძლებელია ზოგისთვის იყოს მოთხოვნა, მაგრამ Impact ფაქტორი ახსენა, რადგან ჟურნალების კვალიფიკაცია ერთმანეთისგან განსხვავდება. დღეისათვის არსებობს სია, სადაც არის „მტაცებლური“ ჟურნალების სია, რაც ნიშნავს, რომ ისინი ხარისხით/ვიზუალურად Impact ფაქტორიანი და მაღალი კვალიფიკაციის ჟურნალებზე ცუდად არიან წარდგენილი, თუმცა მათი მთავარი პრობლემაა რომ ისინი არ გადიან Prereview-ს, რაც ნიშნავს, რომ მათში არ ხდება კრიტიკულად რეცენზირება, რაც ნიშნავს იმას, რომ მნიშვნელოვანია როგორ ჟურნალში აქვეყნებს სპეციალისტი, რათა ექსპერტმა აქედან გამომდინარე იმსჯელოს მის კვალიფიკაციაზე, სხვანაირად რთული იქნება დაიწყოს თითოეული ნაშრომის შინაარსისა და არსის სწავლა, ამიტომ იყო ერთ-ერთი მოთხოვნა. მით უმეტეს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში აღწერეს, რომ წარმოდგენილი იყო ასეთი ნაშრომები, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით არც ერთი ჟურნალი არ შეესაბამებოდა იმ კრიტერიუმებს, რომლებზეც ექსპერტები საუბრობდნენ, 2019 წელს შექმნილ ჟურნალს ჰქონდეს Impact ფაქტორი ან სერიოზულ ჟურნალად განიხილებოდეს, სანამ ის ისტორიულად რაღაც პერიოდში არ დაამტკიცებს, რომ ეს არის რეგულარული და მაღალი ხარისხის ჟურნალი, წარმოუდგენელია.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია სხვანაირად იკითხებოდა და დააბნია ინსტიტუციის პასუხმა, ექსპერტის განმარტების შემდეგ კი აბსოლუტურად ეთანხმება რეკომენდაციას. მან იგივე კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რადგან მათ განაცხადეს, რომ ბიბლიოთეკაც და უნივერსიტეტის ადმინისტრაციაც მუდმივად აწვდის ინფორმაციას მაღალ რეიტინგული ჟურნალების შესახებ, რაც

დამაზნეველია საბჭოს წევრისთვის, ადმინისტრაციულმა ან ბიბლიოთეკის პერსონალმა დარგის ჟურნალებზე რატომ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია დარგის სპეციალისტებს, ინსტიტუციის პასუხმა ორაზროვნება შეიტანა რეკომენდაციაში, თუმცა ექსპერტის მიერ ნათქვამიდან გაიგო რა იგულისხმებოდა რეალურად.

ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის თანახელმძღვანელმა, მაგდა დავითაშვილმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ბაზებზე წვდომა გააჩნია უნივერსიტეტს.

საბჭოს წევრმა დასძინა, რომ ბაზებზე წვდომა სხვა საკითხია, რეკომენდაციაში კი საუბარია ჟურნალების ჩამონათვალზე.

პროგრამის თანახელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში ორი ნაწილი იყო, სამეცნიერო ბაზები, რომელსაც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი აწვდის პერსონალს და წვდომაც ბიბლიოთეკიდან აქვთ.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ეს გასაგებია რადგან მისი ფუნქციაა, უბრალოდ საუბარი იყო სამეცნიერო ჟურნალებზე.

პროგრამის თანახელმძღვანელმა განმარტა, რომ რეიტინგულ ჟურნალებთან დაკავშირებით პროფესორები თვითონ იძიებენ და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ეხმარება კონფერენცებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გაცემულია რეკომენდაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კერძოდ, ლაბორატორიის ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაზე, მან სთხოვა ექსპერტს დაეხუსტებინა თუ რატომ ჩათვალეს რომ აღნიშნული საკითხი უნდა გაწერილიყო რეკომენდაციაში, მიუხედავად იმისა, რომ დარგს სჭირდება ლაბორატორიული სამუშაო.

ექსპერტმა, გიორგი ჯაფოშვილმა განაცხადა, რომ პანდემიიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა ადგილზე გაცნობოდნენ ლაბორატორიას და შესაძლებელია აღნიშნულ რეკომენდაციას ჰქონდეს სურვილის ხასიათი, რადგან სრულყოფილად ვერ წარმოედგინათ ის ინფრასტრუქტურა, რომელიც ადგილზე აქვთ. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ინფრასტრუქტურა, მაგრამ დარჩა შთაბეჭდილება, რომ მოითხოვდა კიდევ უფრო მოდერნიზებას.

საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე ჩაეკითხა, თუ რას გულისმობდა ექსპერტი ფრაზაში „კიდევ უფრო მოდერნიზება“.

ექსპერტმა განაცხადა, რომ როგორც ცნობილია არის ბიოლოგიური მიკროსკოპი და სერეომიკროსკოპი, მათ შორის სხვაობა სპეცისლისტებისთვის ცნობილია, მაგრამ ჩვენებისას შესაძლებელია ვერ მოხდეს აღქმა ისეთი, წარმოდგენილია თუ არა ხელსაწყო, რომელსაც მოითხოვენ.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, სურს თუ არა ექსპერტს იმის თქმა, რომ ფიზიკურად ვერ დაინახავდნენ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ფიზიკურად შესაძლებელია აღნიშნული ორი მიკროსკოპი არეული იყოს ერთმანეთში.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში იგი თავს უფლებას აძლევს იკითხოს, თუ რატომ გადაწყვიტა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ უფრო არ არის, ვიდრე არის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათი გამოცდილებით ხშირ შემთხვევაში სტერეომიკროსკოპი არის არეული და იგი ორის გარდა არცერთ დაწესებულებაში უნახავს, თუმცა აღნიშნული დაწესებულება ამბობს, რომ აქვს სტერეომიკროსკოპი.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ აპარატურასთან დაკავშირებული საკითხი რამდენიმე ადგილას ფიგურირებს, ცნობილია ზოგადი გამოცდილება, რომ ეს საკითხი საქვეყნო პრობლემაა, ამიტომ კარგი იქნება თუ ინსტიტუცია განმარტავს რა ლაბორატორიულ რესურსებს ფლობს, ფუნდამენტური, რამდენი ტიპის ლაბორატორიაა, რითია აღჭურვილი და რამდენად აძლევს ლაბორატორიები სტუდენტებს დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას, რადგან სილაბუსების მიხედვით ექსპერიმენტებს აქვს დემონსტრაციული ხასიათი. მან აღნიშნა, რომ საერთოდ არ არის ლაბორატორიული მეცადინეობები ცალსახად გამოყოფილი, დაწესებულება კი ცდილობს პრაქტიკული მეცადინეობები დაარქვას ამ ტიპის მეცადინეობებს და ესეც საინტერესოა თუ რამ განაპირობა ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის პრაქტიკული მეცადინეობის დარქმევა. ბიოლოგია არის ბუნებისმეტყველების დარგი, რომელიც „კეთებით“ სწავლების დროს ბევრად უკეთ ისწავლება, ვიდრე მეცადინეობების დროს, ამიტომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი.

ასევე დაინტერესდა, თუ როგორ გაუმკლავდა უნივერსიტეტი, მით უმეტეს ბიოლოგიის პროგრამა და როგორც ცნობილია პანდემიით ყველაზე მეტად საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მიმართულებები დაზარალდნენ, ამ პერიოდში როგორ ახერხებდა დაწესებულება პრობლემის დამლევას.

მისი მოსაზრებით, ბაზებიდან ScienceDirect უნდა ამოიღონ, არა კონკრეტული უნივერსიტეტის მიზნით, მაგრამ ამ წლიდან ვერცერთი უნივერსიტეტი ვეღარ იყენებს, რადგან მოიხსნა განათლების სამინისტროს შეღავათი.

მისთვის გასაკვირი იყო რომ არაორგანული და ზოგადი ქიმიის კურსში ლაბორატორიული მეცადინეობა საერთოდ არ მოიაზრება, მით უმეტეს ბიოლოგებმა მინიმუმ ხსნარების დაყენება უნდა იცოდნენ, ხსნარებთან აქვთ კავშირი და

ძალიან მარტივად შეიძლება ლაბორატორიული მეცადინეობის ამ სასწავლო კურსში ჩასმა; იგი დაინტერესდა თუ რატომ არ არის.

„ორგანული ქიმიის“ კურსიდან ირკვევა, რომ გამოყოფილია თითო საათი ლაბორატორიისთვის, პრაქტიკული მეცადინეობისთვის, როგორც დაწესებულება უწოდებს, რასაც აქვს სადემონსტრაციო ხასიათი. იგი დაინტერესდა, თუ რამდენად ეფექტურად თვლის დაწესებულება ამ ტიპის ლაბორატორიულ მეცადინეობებს სადემონსტრაციო ხასიათით ჩატარებას, მაშინ, როდესაც დღეს ციფრულ სამყაროში უამრავი „ონლაინ“ რესურსი არსებობს, რათა მრავალფეროვანი და უფრო კარგად გაფორმებული ექსპერიმენტი შეუძლია ნახოს სტუდენტმა და რა აუცილებელია ამისთვის დროის დაკარგვა და ელემენტარული ექსპერიმენტების ჩვენება.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ „ბიოქიმიის“ სასწავლო კურსი იწყება ლაბორატორიული ჭურჭლის აღწერა/შესწავლით, რაც წესით არაორგანული ან ზოგადი ქიმიის კურსია, თუმცა არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ყველაზე მთავარია, რომ სასწავლო კურსში გარკვეული ექსპერიმენტები არის სასკოლო დონის, მაგ., სახამებლის აღმოჩენა, რომლისთვისაც 1 საათია გამოყოფილი, საბჭოს წევრი დაინტერესდა სტუდენტები „ბიოქიმიამში“ ინდივიდუალურად მუშაობენ თუ მანდაც სადემონსტრაციო ხასიათით ტარდება ექსპერიმენტები.

ექსპერტები საუბრობდნენ საბოლოო ჯამში არ დაკონკრეტდა და არც დაწესებულებამ დააკონკრეტა თუ რომელ სასწავლო კურსზე ითხოვდნენ საათების გადანაწილებას, მაგ., მე-11 ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობაში, სადაც აკეთებენ ცხიმთან დაკავშირებულ ექსპერიმენტებს და ა.შ. 1 საათი არ ეყოფათ, საუბარი იყო საათების გადანაწილებაზე და ცოტა გაუგებარი პასუხი იყო დაწესებულების მხრიდან, რომ მათ ECTS კრედიტებით იყო დათვლილი, ერთია რითი აქვთ დათვლილი და მეორე რამდენად შესაბამისია, თორემ არცერთ ექსპერტს უთქვამს, რომ ECTS კრედიტებით ან პრინციპებით არ არის გადანაწილებული საათები.

საბჭოს წევრი, გიორგი ლაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. მან განაცხადა, რომ პროგრამაში რაღაც წერია შრომის ბაზართან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნა, რომ მხოლოდ 7 სკოლის წარმომადგენელი გამოიკითხა, მაშინ, როდესაც კახეთის რეგიონში, ჯამში დაწყებითი და საბაზო 191 სკოლაა, ანუ 3.5% გამოიკითხა, საბჭოს წევრი დაინტერესდა იძლევა თუ არა ვალიდურ წარმოდგენას ეს მაჩვენებელი, თუ წინარე სამუშაო ჰქონდათ ჩატარებული მხოლოდ, გასაგებია.

საბჭოს წევრმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს მიმართა. მან ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 180 000 ლარი გეგმა შემოსული თანხის და სტუდენტთა მხრიდან სავარაუდოდ, უნივერსიტეტს უწერია ოპტიმალური რაოდენობა 20 სტუდენტი, ეს გამრავლებული 2 250 ლარზე უნდა ეწეროს 80 000 ლარი და მისი მოსაზრებით, ბიუჯეტში ჩაწერილი თანხა მექანიკური შეცდომაა.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ფაკულტეტის დეკანსა და პროგრამის თანახელმძღვანელს, მაგდა დავითაშვილს. საბჭოს წევრმა გაიხსენა პროგრამის თანახელმძღვანელის მიერ ნათქვამი ფრაზა, რომ მათემატიკის კურსში უნდა აისახოს სტატისტიკა, დაინტერესდა თუ რას გულისხმობდა, თუ ეს იყო მათემატიკური სტატისტიკა, ცალკე იკითხება ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, თუ სტანდარტულ სტატისტიკას გულისხმობდა, არანაირად შეიძლება წაიკითხოს მათემატიკაში, რადგან ცალკე კურსია და სხვა წინაპირობები უნდა ჰქონდეს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, შალვა ჭკადუამ პანდემიის პირობებში პრობლემებთან გამკლავების შესახებ განაცხადა, რომ მთავრობის დადგენილებებისა და განათლების მინისტრის ბრძანებების, ასევე ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ლაბორატორიული სამუშაოების გარკვეული პროცედურების დაცვით ჩატარება, ისევე, როგორც პრაქტიკული და საგამოცდო პროცესის წარმართვა, აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ ზედმიწევნით გაითვალისწინა ზემოაღნიშნული რეკომენდაციები, დააკმაყოფილა სტანდარტები, გაიარა არაერთი შემოწმება, როგორც ადგილობრივი ხელისუფლებისგან, ისე განათლების სამინისტროს წარმომადგენლებისგან, რის შედეგადაც მოიპოვეს უფლება, რომ ლაბორატორიული სამუშაოები განეხორციელებინათ ჩვეულებრივ, ტრადიციული ფორმით, დაწესებულების წარმომადგენლებს მოუხდათ ჯგუფების უფრო პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფა. რაც შეეხება ლაბორატორიულ რესურსს, დაწესებულება მუდმივად განვითარების პროცესშია, არგუმენტირებულ პოზიციამაც გაწერეს, რომ მიმდინარეობს პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ბიოლოგიური ლაბორატორიის უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვას, თუმცა ის ნაწილი, რაც საჭიროა საბაკალავრო დონეზე პროგრამის მიზნების მიღწევისათვის აბსოლუტურად დაკმაყოფილებულია და ამის ხილვის საშუალება იყო იმ ვიდეორგოლში, რომელიც ინსტიტუციამ გააკეთა.

შრომის ბაზართან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიაზრებს ერთგვარ დასაქმების სფეროს, ანუ საჯარო სკოლას, ერთწლიანი, მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლის შემდეგ

შეუძლიათ გახდენენ ბიოლოგიის მასწავლებლები, შესაბამისად, ვინაიდან დაწესებულებას ცუდ დროს მოუწია კითხვარების დაგზავნა, როგორც წესი, დამსაქმებელი ძალიან რთულად თანამშრომლობს დაწესებულებასთან, მაგრამ, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლები მიდიან და სიტყვიერად უხსნიან უფრო მარტივია, მაგრამ აღნიშნული კვლევა ჩატარებულია „ონლაინ“ ვისგანაც და რა პასუხებიც მიიღეს იმათი ასახვა მოახდინეს ანალიზში, თუმცა სკოლასთან ერთად წარდგენილია სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებიც ასევე შესაძლებელია იყვნენ დამსაქმებლები, მიუხედავად ამისა, კვლევა რეპრეზენტატული არ არის, თუმცა ეს იყო ის შედეგი, რაც მიიღეს. დაწესებულების წარმომადგენლები ვერ მივიდნენ სკოლაში გასაგები მიზეზების გამო, თუმცა სხვა დროს წარმომადგენლობითობა უფრო მაღალია ხოლმე.

პროგრამის თანახემდგვანელმა გაიხსენა ექსპერტის, გიორგი ჯაფოშვილის ფრაზა, რომ პროგრამის თანახემდგვანელმა „კინოზოით“ მოიხსენია „ენტომოლოგია“, მან განაცხადა, რომ პირიქით ძალიან ღრმა პატივისცემით მოიხსენია, მხოლოდ თქვა, რომ უნდა ისწავლებოდეს მაგისტრატურაში და ნამდვილად არ დაუკნინებია.

საგნებთან მიმართებაში დაადასტურა, რომ, როდესაც 2-3 საგანს კითხულობს ერთი ლექტორი, მაგ., პროგრამის თანახემდგვანელი, თამარ ნადირაძე არის ბოტანიკის მიმართულებით და იგი კითხულობს „მცენარეთა ანატომია-მორფოლოგიას“, „მცენარეთა სისტემატიკას“, „ბიოგეოგრაფიას“, ეს ყველაფერი არის მონათესავე საგნები, ასევე, გელა აზიკური კითხულობს „ადამიანის ანატომიას“ და „ცხოველთა და ადამიანთა ფიზიოლოგიას“ 2 ნაწილად გაყოფილს, მისი მოსაზრებით, არ არის საგნებში აცდენა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დარეჯან მარგალიტაშვილი ქიმიკოსია და ბიოლოგიაში აქვს ხარისხი დაცული, შესაბამისად ის უპასუხებს „ბიოქიმიას“, მასთან და ქიმიასთან დაკავშირებულ კითხვებს. აღნიშნული უნივერსიტეტი არ არის ისეთი დიდი უნივერსიტეტი და წარმოდგენილ პროგრამაში კონტიგენტი ისეთი დიდი არ არის, რომ ჰყავდეთ ასეულობით სტუდენტი, რომლებიც გაიყოფიან ჯგუფებად და აღნიშნა ასევე, რომ ერთ ლექტორს ერთი საგნით შტატიტ განსაზღვრული საათები არ შეეცვება, მან სემესტრში უნდა წაიკითხოს კონკრეტული საათობრივი დატვირთვა, სხვა რანაირად შეიძლება მისი დატვირთვა, მაშინ აკადემიურ თანამდებობას ვერ დაიკავებენ, ეს ფაქტიც გასათვალისწინებელია.

„ბიოსოციოლოგიასთან“ დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნათია ლაჭავას ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში არჩევით საგნად აქვს ჩასმული „ბიოსოციოლოგია“ და ახლა აიღო აკრედიტაცია, პროგრამის ხელმძღვანელი დაინტერესდა თუ რატომ არ უნდა იყოს მათთან, ასევე, „ტოქსიკოლოგიის საფუძვლების“ შინაარსი, შედეგები და ა.შ. ზუსტად ბაკალავრიატის საფეხურის მიხედვით არის გაწერილი და პირიქით „ეკოტოქსიკოლოგია“ აქვთ სამაგისტრო საფეხურზე და „ქსენოფიტოტოქსიკოლოგია“ და ასევე „გარემოს ტოქსიკოლოგია“, რაც უფრო მაღალ დონეს შეესაბამება და მისი თქმით, „ტოქსიკოლოგიის“ წამყვანი თეა მჭედლურია და საკმაოდ გამოცდილია, შესაბამისად ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა, ამასთანავე საგანი 2007 წლიდან ზის პროგრამაში და კარგად გადის შედეგებზე, რაც შეეხება „მცენარეთა ფიზიოლოგიას“ პრაქტიკულ მეცადინეობებში დაწესებულებას გაწერილი აქვს, შეიძლება ტერმინი აქვთ დასაზუსტებელი და დაარქმევენ „ლაბორატორიულს“, მაგრამ გაწერილი აქვთ ყველა კვირაში, რაც არ არის მხოლოდ პრაქტიკული და მოითხოვს ლაბორატორიულ მუშაობას, ნებისმიერი საგნის სილაბუსში არის მოაზრებული/გათვალისწინებული.

პროგრამის თანახემდგვანელმა ლაბორატორიის აღჭურვილობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ ცალკე აქვთ ბიოლოგიის ლაბორატორია, სადაც არის ბინოკულარული/ტრინოკულარული მიკროსკოპები, ცენტრიფუგა, თერმოსტატი, ელახარიდერი, ცალკე აქვთ „ჰემატოლოგიის“ ლაბორატორია, რომელშიც არის სისხლის ანალიზატორი, ლეიკომეტრები, რომელიც შეიძინეს ტემპუსის პროექტის ფარგლებში, ასევე აქვთ ავტოკლავი, ცალკეა ქიმიის ლაბორატორია, ცალკე აგრარულების, სასურსათო ტექნოლოგიების ლაბორატორია და იმასაც იყენებენ ხოლმე საჭიროების შემთხვევაში, ასევე აქვთ ქრომატოგრაფი, სანჯღრეველა, რომელიც შარშან შეიძინა დაწესებულებამ, დაახლოებით 13 000 ლარის ღირებულების.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ ქრომატოგრაფს სასწავლო პროცესში არ იყენებენ სილაბუსების მიხედვით.

პროგრამის თანახემდგვანელმა განაცხადა, რომ ქრომატოგრაფი ახლახანს შეიძინეს და დეკემბერში მოხდა მისი გამართვა/აწყობა.

საბჭოს წევრმა დასძინა, რომ პროგრამა არ ითვალისწინებდა.

პროგრამის თანახემდგვანელმა განამარტა, რომ აგრარულის მიმართულებით აქვთ სადოქტორო პროგრამა და იქ იყენებენ.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამაზე გასაცხადია, მაგრამ საბაკალავრო პროგრამაში არ იყენებდნენ. საბჭოს წევრმა, გიორგი დალანიძემ პროგრამის თანახელმძღვანელს, მაგდა დავითაშვილს შეახსენა მისივე სიტყვები, რომ ვინაიდან საათობრივი დატვირთვა შეასრულებელი ამიტომ კითხულობენ ლექტორები რამდენიმე საგანს, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რომ გადაწყდეს 200 საათი დაემატოს დატვირთვას დაუმატებენ თუ არა კიდევ ერთ საგანს წასაკითხად, დატვირთვა და ორგანიზაციული ასპექტები, ფინანსები არის სხვა ველი და რაც შეუძლია ადამიანს წაიკითხოს და რაც არ შეუძლია წაიკითხოს სულ სხვა თემა. ზუსტად იგივეა ეკონომიკაში, კი ჰქვიათ ეკონომისტები, მაგრამ ყველა ყველაფერს არ კითხულობს, რადგან ადამიანები სპეციალიზდებიან წლების განმავლობაში, კითხვა იყო, ერთიდაიგივე ადამიანი ამას ვერ კითხულობს, ამის ახსნა დატვირთვით არარელევანტურია.

პროგრამის თანახელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრს, მან განაცხადა, რომ მოიყვანა მაგალითებიც, სადაც ბოტანიკის სპეციალისტი სულ მცენარეებს უძღვება. მას არ უგულისხმია, რომ საერთოდ იმ სფეროში არ იყოს და ისეთი საგნები წაიკითხოს, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრს დაეთანხმა, მას მიაჩნდა, რომ დატვირთვაც მნიშვნელოვანია.

შრომის ბაზართან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მათ 36 დამსაქმებელი გამოიკითხეს, განმარტა, რომ დაწესებულება არ უშვებს პედაგოგს, რადგან ბაკალავრიატის საფეხურია და ეცადნენ ყველანაირი დაწესებულება მოეცვათ, მაგ., გარემოს დაცვის სამინისტრო, დაცული ტერიტორიების სააგენტო და სხვადასხვა ორგანიზაციები, მათ სურდათ, მრავალფეროვანი ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ უფრო ფართო მნიშვნელობით შეეძლოთ სკოლები, არ ჩათვალეს საჭიროდ, რათა მრავალფეროვანი ყოფილიყო შედეგები.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ დააზუსტა სავალდებულო არის თუ არა საბაკალავრო ნაშრომი.

პროგრამის თანახელმძღვანელმა დაადასტურა, რომ საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულოა.

საბჭოს წევრმა დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა ესაუბრათ საბაკალავრო ნაშრომსა და ლაბორატორიულ მუშაობაზე, მაგ., ბოლო პერიოდიდან/წლიდან გამომდინარე რა ტიპის საბაკალავრო ნაშრომები კეთდება, არის თუ არა დაყრდნობილი ლაბორატორიულ სამუშაოებზე.

პროგრამის თანახელმძღვანელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომის არჩევა ხდება მერვე სემესტრის დასაწყისში, რაც რეგულირდება საბაკალავრო ნაშრომის დებულებით და ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომლებთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი, ხდება სტუდენტების მივლინება, მაგ., ერთ-ერთმა ბაკალავრმა კვლევა განახორციელა წვენების ქარხანაში, თუმცა საბაკალავრო ნაშრომი სასწავლო კომპონენტია, შესაბამისად სტუდენტებს მოეთხოვებათ ბაზისური ნაშრომი და არა ისეთი ღრმა, როგორც სამაგისტრო/სადოქტოროზე, მაგრამ რა თქმა უნდა საბაკალავრო ნაშრომებში გათვალისწინებულია აღნიშნული კომპონენტიც, ნაშრომს აქვს შესავალი, ლიტერატურული მიმოხილვა და ა.შ.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ მან იგულისხმა ის ლაბორატორიული აღჭურვილობა გამოიყენება თუ არა, თუმცა ვინაიდან ახალი შეძენილია, შესაძლებელია ჯერ არ გამოიყენებულა, თუმცა დაინტერესდა, თუ რამდენად ხდება მათი ბაკალავრების მიერ, განსახილველი პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული აღჭურვილობის გამოყენება.

პროგრამის თანახელმძღვანელმა განაცხადა, რომ მიკრობიოლოგიური თვალსაზრისით ხდება გამოყენება ამა თუ იმ კვლევების დროს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა პროგრამის თანახელმძღვანელთან დააზუსტა ლაბორატორიული სამუშაოს დროს დემონსტრაციული ხასიათი აქვს თუ უშუალოდ აკეთებენ.

პროგრამის თანახელმძღვანელმა განაცხადა, რომ, მაგ., ზოგადი მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ლაბორატორიულ მეცადინეობებზე, რაც სილაბუსშია გაწერილი ყველაფერს პედაგოგის მითითებით, მისი დახმარებით იმ ექსპერიმენტს განახორციელებენ, რაც გაწერილია სილაბუსის შინაარსში.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დააზუსტა თუ რატომ არ აკეთებენ სხვა სასწავლო კურსებში ამგვარად.

პროგრამის თანახელმძღვანელმა დასძინა, რომ იგივე ხდება „მცენარეთა ფიზიოლოგიაში“, „ჰემატოლოგიაში“, „ბიოქიმიაში“ და სხვა.

საბჭოს წევრის თქმით, „ბიოქიმიაში“ სილაბუსში წერია, რომ სადემონსტრაციო ხასიათის არის.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დარეჯან მარგალიტაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან „ბიოქიმიასთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ ნამდვილად წერია სახამებლის აღმოჩენა იოდის საშუალებით, მაგრამ ეს არის უმარტივესი ცდა/ექსპერიმენტი, რომელიც მე-11 კლასში ისწავლება ქიმიის კურსში, მაგრამ ისინი ექსპერიმენტის მთლიან მსვლელობას სილაბუსში ვერ წარმოადგენდნენ, თუმცა ლაბორატორიულ სამუშაოზე შემდეგ აგრძელებენ, მუშაობენ სახამებლის ჰიდროლიზზე, ანუ რისი საშუალებით

შეიძლება მოხდეს სახამებლის ჰიდროლიზი, იქ შეიძლება გამოიყენონ ნერწყვის ფერმენტი ამილაზა, და მისი საშუალებით დაშალონ, ასევე შესაძლებელია ტუტისა და სპილენძის სულფატის ხსნარი გამოიყენონ, ანუ ამის განვრცობა, დაწვრილებითი აღწერა შეუძლებელია, მაგრამ მხოლოდ სახამებლის აღმოჩენა წარმოუდგენელი და სასაცილოა, რადგან მე-11 კლასის მასალაა, ამ შემთხვევაში კი აღნიშნულ საფეხურზე არ ჩერდება ექსპერიმენტი და მიდის მუშაობა ჰიდროლიზზე.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ შესაძლებელია მარტივად დაეწერათ სახამებლის ჰიდროლიზის შესწავლა, იქნებოდა გასაგები და აღარ გაჩნდებოდა კითხვა.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრს, მაგრამ სახამებელთან დაკავშირებით აღარ იყო საჭირო მეტი განვრცობა და გაითვალისწინებს შენიშვნას.

პროგრამის თანახემდღვანელი, თამარ ნადირაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ 2011 წლიდან არის ბიოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი და ისევ იმ მრავალსაგანიანობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ თვითონ არის ბოტანიკოსი და კითხულობს „მცენარეთა სისტემატიკას“, „ბიომრავალფეროვნებას“, „მცენარეთა ანატომია-მორფოლოგიას“, ასევე, ლამარა ზურომელი არის მიკრობიოლოგი და კითხულობს „მიკრობიოლოგიას“, „ვირუსოლოგიას“, ისე რომ მონათესავე იგივე სფეროს საგნებით აქვთ დატვირთვა და არა ისე, რომ დატვირთვა უნდა შეეგოს აკადემიურ პერსონალს და ამიტომ მრავალსაგანიანობა იყოს კონკრეტული მიმართულებით, ასე არ არის, რადგან, როგორც საბჭოს წევრმა განაცხადა 200 საათი, რომ იყოს მაშინ ყველა საგანს აიღებდნენ თუ არა, ეს ასე არ არის, რადგან ლექტორები მუშაობენ იმ მიმართულებით რა მიმართულებითაც დაცული აქვთ და მის შემთხვევაში 40 წელია კითხულობს აღნიშნულ საგნებს, ასეთივე გამოცდილება აქვს უმრავლესობას. პროფესორის დატვირთვა 6-დან 8 საათამდეა და აღარ არის მრავალსაგანიანობა, რადგან 2 საგანს „მცენარეთა სისტემატიკას“ და „მცენარეთა ანატომია-მორფოლოგიას“ თუ კითხულობს უკვე შევსებული აქვს 6 საათი, ასევე არიან სხვებიც.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ განაცხადა, რომ ეს არ არის მისი მოსაზრება, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა და საბჭოს წევრმა ითხოვა დაზუსტება, დატვირთვა რომ გაიზარდოს დაუმატებენ თუ არა საგნებს, არის თუ არა ეს ლოგიკა. ახლა კი გაიგო, რომ ასე არ ყოფილა.

პროგრამის თანახემდღვანელმა განაცხადა, რომ ზედმეტად ნერვიულობენ და ამის ფონზე შეიძლება შეცდომა დაუშვს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭო კოლეგიალური ორგანოა, გამოხატავენ პატივისცემას ყველას მიმართ, მაღლობა გადაუხადა ყველას გულწრფელი, გულითადი საუბრისთვის და განმარტა, რომ საბჭოს ფუნქცია დაზუსტება და მეტი სიცხადის შეტანაა იმ საკითხებისთვის, რომლებიც დაისვა და იყო საუბარი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, შალვა ჭკადუამ შიდა ხარისხის მექანიზმების განვითარებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ინსტიტუცია არ ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას, თვითონ დასკვნის ტექსტშიც ექსპერტები თითქმის ყველა პარამეტრით პოზიტიურად აფასებენ, თუმცა შემდგომში გამოაქვთ „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, ასევე იგივე დასკვნას მიესალმებიან, თუ რაიმე გასათვალისწინებელი იქნებოდა, მაგრამ დასაკონკრეტებელია რა იგულისხმებოდა, თუმცა დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ყველა იმ პარამეტრს აკმაყოფილებს, რაც ჩამოთვლილია და მისი სურვილია, რომ საბჭომ მხედველობაში მიიღოს, რადგან ფაქტობრივად, არ არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი, პროცედურა და მეთოდი, რომელიც თავისი შინაარსით არ არის დაკავშირებული კონკრეტული პროგრამის განვითარებასთან.

16:33 საათზე საბჭო დატოვა გიორგი ლაღანიძემ და არ მიუღია მონაწილეობა კენჭისყრაში.

სხდომაზე გამოცხადდა საათობირო შესვენება

დაწყების დრო: 16:34

დასრულების დრო: 17:27

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის IV სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია“

მოთხოვნებთან“; V სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. რეკომენდებულია გამოიკვეთოს სასწავლო კურსები „პასუხისმგებლობა ავტონომიურობის“ შედეგთან მიმართებაში და შემდეგ აისახოს ის პროგრამის შედეგებშიც;
2. რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსების „განვითარების ბიოლოგია“ და „მოლეკულური ბიოლოგია“ სტატუსი განისაზღვროს როგორც სავალდებულო;
3. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები „ციტოლოგია“ და „უჯრედის ბიოლოგია“, და მოხდეს გადაფარვის მინიმუმამდე დაყვანა;
4. რეკომენდირებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი „სტატისტიკა“;
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსს „პარაზიტოლოგია“ წინაპირობად განესაზღვროს „უხერხემლოთა ზოოლოგია“;
6. რეკომენდირებული სილაბუსებში ცალსახად აისახოს ლაბორატორიული მეცადინეობები;
7. რეკომენდებულია კრედიტების რაოდენობის კორექტირება სასწავლო კურსების შინაარსისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით;
8. სასურველია სასწავლო კურსების „ადამიანის ანატომია“, „ვისცერალური სისტემების ფიზიოლოგია“ და „ნერვული ფიზიოლოგია“ გაერთიანება ორ სასწავლო კურსად „ანატომია“ და „ფიზიოლოგია“ და შესაბამისად კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა;
9. რეკომენდირებულია პროგრამის რესურსების გათვალისწინებით რამდენიმე სასწავლო კურსში მოხდეს ლაბორატორიული მუშაობების გამოყოფა და მათი განხორციელებისთვის საჭირო საათების რაოდენობის განსაზღვრა;
10. რეკომენდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები;
11. რეკომენდირებულია მაქსიმალურად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გახდეს სასწავლო და სამეცნიერო აღჭურვილობა და ლაბორატორიული დანადგარები.

რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. სასურველია გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების რუკა და გასწორდეს რამდენიმე შეცდომა.
2. სასურველია სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათების განაწილების შესახებ ინფორმაციის დამატება;
3. სასურველია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები „იმუნოლოგია“, „ბიოტექნოლოგია“;
4. სასურველია სასწავლო კურსების „ზოგადი ტოქსიკოლოგია“, „ჰემატოლოგია“ და „ბიოსოციოლოგია“ სწავლების საფეხურთან შესაბამისობის გადახედვა;
5. სასურველია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები „იმუნოლოგია“, „ბიოტექნოლოგია“;
6. სასურველია სასწავლო კურსს „ბიოგეოგრაფია ბიომრავალფეროვნების საფუძვლებით“ წინაპირობად განესაზღვროს „მცენარეთა სისტემატიკა“ და „ხერხემლიანთა ზოოლოგია“;
7. სასურველია „ეკოლოგიის საფუძვლები“ და „ცოცხალი ბუნების დაცვა“ გაერთიანება ერთ სასწავლო კურსად და შესაბამისად კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა;
8. სასურველია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის გადახედვა;
9. სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დროში გაწერილი პერსონალის განვითარებისა და შევსების სტრატეგია;
10. სასურველია პროგრამის განმახორციელებელ აკადემიური პერსონალის ნაწილს ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ჰქონდეს სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში ან იმფაქტვაქტორის მქონე ჟურნალში;

11. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შიდა ხარისხის შეფასება განხორციელდეს დეტალებზე ორიენტირებული მიდგომით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, და მე-3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3¹ პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

17:28 საათზე საბჭოს შემოუერთდა გიორგი ლაღანიძე.

2. მეორე საკითხი: სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.12.2019, გადაწყვეტილება №246
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ბიოლოგია, 0511
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N68, უნივერსიტეტის მე-2 სასწავლო კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ნათია ლაჭავაძე განაცხადა, რომ 2019 წლის დეკემბერში განხორციელდა პროგრამის აკრედიტაცია, შეფასდა, გაიცა რეკომენდაციები და საბჭოს გადაწყვეტილებით რეკომენდაციების ნაწილი დარჩა, ზოგიერთი კი გადავიდა რჩევაში და დაწესებულებას განესაზღვრა 1 წლის შემდეგ ანგარიშის წარდგენის ვალდებულება, ანგარიშის განხილვის დროს ექსპერტს ჰქონდა საშუალება შეედარებინა აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამისა და ანგარიშის შემდეგ მოხდა თუ არა რეკომენდაციების გათვალისწინება. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები და პროგრამა განვითარდა, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელს, თეა მჭედლოურის კიდევ ერთი სამუშაოს შესრულება მოუწია აკრედიტაციაზე პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ-ის მიხედვით იყო წარდგენილი, ანუ შედეგები გათვლილი იყო 6 კომპეტენციის მიხედვით, შესაბამისად ანგარიში სწორედ მასში წარდგენილი პროგრამის მიხედვით წარადგინეს, თუმცა ექსპერტის მოსაზრებით, პროგრამის ხელმძღვანელს უკვე გაკეთებული აქვს შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს, კვალიფიკაციების აღმწერთან, როგორც განსაზღვრულია ცენტრის მიერ, რომ წარდგენილი უნდა იყო 31 მარტამდე და ეს სამუშაოც მას გაწეული აქვს 3 კომპეტენციასა და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, თუმცა დაწესებულებამ, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტებულ პერსონალთან ერთად წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ნამდვილად გაითვალისწინა ის რეკომენდაციები რაც გაცემული იყო და გამოთქვა მზაობა მომავალში რჩევების გათვალისწინებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

რექტორი, გიორგი სოსიაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა საბჭოს დროის გამოყოფისათვის და ექსპერტს გაწეული სამუშაოსთვის. მან განაცხადა, რომ როგორც ექსპერტმა აღნიშნა დაწესებულებამ გაითვალისწინა და ასახა პროგრამაში ყველა რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა გაწერა ვიზიტის დროს, პრაქტიკულად, პროგრამა მზად არის თანამედროვე გამოწვევებთან ღირსეულად გასამკლავებლად. მან განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა ძალიან მოთხოვნადია რეგიონში, დაწესებულებისთვის კი პრიორიტეტული მიმართულებაა. მისი თქმით, დაახლოებით 150 სკოლაა შიდა ქართლში, ადგილობრივ ბაზარზე და ბუნებისმიტყველების მიმართულებას დიდ ყურადღებას აქცევენ, განსაკუთრებით ბიოლოგიას. მან გამოთქვა რწმენა მომავალში პროგრამის განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ აღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებით კითხვები ან მოსაზრებები.

სხდომაზე გამოცხადდა საათობრო შესვენება

დაწყების დრო: 17:37

დასრულების დრო: 17:42

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

✓ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხდომა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 30 მარტის 17:46 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

